

მარნეულის მუნიციპალიტეტი  
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. #73  
ს.კ. 234232149

მომსახურე ბანკი: ს.ს. "ლიბერთი ბანკის" მარნეულის ფილიალი



*მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანჯიგაზლოში, სოფელ კაჩაგანში და სოფელ თაქალოში გზის მოასფალტების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით*

(CPV - 713 20000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება)

**სატენდერო დოკუმენტაცია**

სავარაუდო ღირებულება – 33 050 ლარი დ.ღ.გ-ს გარეშე

2016 წელი

## ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.
2. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. **დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაშიმათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.**
3. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
4. შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედ დასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლება მოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა ანრწმუნებულობა).
5. სატენდერო წინადადების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის დაზუსტდებასატენდერო წინადადების შესაბამისად.
6. სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელსზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი,წარმოების წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება მსგავსი ან ეკვივალენტური.
7. სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.
8. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით განმარტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით ანდა სატენდერო კომისიის აპარატში:
  - 8.1. სატენდერო კომისიის აპარატის წევრი : თეა ძამაშვილი 558 664478, 599 857272
  - 8.2. სატენდერო კომისიის აპარატის წევრი : გიორგი ქვეხიშვილი 599 88 15 39

## საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

### 1.1. იურიდიული პირებისათვის:

1.1.1. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.

1.1.2. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან დ.დ.გ–ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.

### 1.2. ფიზიკური პირებისათვის:

1.2.1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

1.2.2. გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი;

1.2.3. ცნობა სასამართლოდან რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

1.2.4. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.

### 1.3. როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირებისათვის:

1.3.1. სატენდერო წინადადების ხელის მომწერისთვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

1.3.2. სუბკონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები 1–ლი მუხლის შესაბამისად.

2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთ) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

3. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობით, ამ შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოსთხოვოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

## ტექნიკური დავალება

### 1. შესასყიდი მომსახურების დასახელება და რაოდენობა:

1.1. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანჯიგაზლოში, სოფელ კაჩაგანში და სოფელ თაქალოში გზის მოასფალტების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

1.2. გამარჯვებულ ორგანიზაციას ტექნიკური დავალების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ დროში მოეთხოვება პროექტის (სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - ცალ-ცალკე პროექტი სოფელის მიხედვით – შემსყიდველთან შეთანხმებით) ოთხი ეგ ზემპლარის წარმოდგენა, როგორც ბეჭდური, ისე ასევე ელექტრონული ფორმით - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გარდა სხვა საჭირო დოკუმენტური მასალებისა ძირითადში უნდა შეიცავდეს და პრეტენდენტმა ობიექტის დაპროექტებისას აუცილებლივ ზედმიწევნით დეტალურად უნდა დააკმაყოფილოს და გაითვალისწინოს სისტემაში ატვირთული დანართებში მოცემული ტექნიკური დავალების მოთხოვნები და პირობები სრულად.

### 2. დაფინანსების წყარო – 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

### 3. მომსახურების გაწევის ვადები და ძირითადი პირობები:

3.1. მომსახურება გაწეული უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან **40 კალენდარული დღის განმავლობაში.**

3.2. ხარჯთაღრიცხვაში, კონკრეტულ პუნქტებში, მასალის არსებობის შემთხვევაში, ზუსტად უნდა იყოს აღმნიშვნელი სხვა აუცილებელი მახასიათებლები). პროექტში სხვა დამატებითი აუცილებელი სამუშაოების წარმოქმნის შემთხვევაში, სამუშაოების პროექტში გათვალისწინება განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანხმებით.

3.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა დამზადებული პროექტის განხორციელების/მშენებლობის პროცესში (მშენებლობის დასრულებამდე). საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა და საჭიროების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება.

### 4. სატენდერო წინადადების ღირებულება:

4.1. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა (დ.დ.გ.-ს გარდა) და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

4.2. პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ.-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შერჩევა-შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით.

4.3. იმ შემთხვევაში თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის წარმოადგენს ცნობას შემოსავლების სამსახურიდან დ.დ.გ.-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულებაში განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვით დაფიქსირებული საბოლოო ჯამური ფასის შესაბამისი დ.დ.გ.

### 5. მონაწილის რეკვიზიტები: მისამართი (რეგისტრაციის და ფაქტიური), ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები;

## 6. გამოცდილება:

6.1. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს 2013-2016 წწ ჩათვლით პერიოდში მინიმუმ 60 000 (სამოცი ათასი) ლარის ანალოგიური მომსახურების შესრულების გამოცდილება (წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ანალოგიური მომსახურების (საავტომობილო გზების მოასფალტება, მოწყობა, რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება) გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით დამოწმებული ასლ(ებ)ი.

## 7. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 20 %-ით ან მეტით ფასდაკლების შემთხვევაში:

7.1. ვინაიდან, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა (მომსახურება, რომლის საერთო ღირებულებაში მიმწოდებლის მხრიდან მომსახურებისათვის საჭირო ხარჯების ხვედრითი წილი მინიმალურია ამავე მომსახურებისათვის გათვალისწინებულ საერთო ღირებულებასთან მიმართებაში და საერთო ღირებულების დიდი წილი მოდის ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებზე), იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მექანიზმი კონკრეტულ შესყიდვაში არ გამოიყენება.

## 8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი:

8.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 40 კალენდარული დღის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის სრული ვერსია, რაზედაც შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2. შემსრულებელი ვალდებულია დამზადებულ პროექტებში შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი ყველა დეფექტისა და ნაკლის აღმოსაფხვრელად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველის მიერ გაკეთებული ოფიციალური მოთხოვნიდან მაქსიმუმ 10 კალენდარულ დღეში (ზუსტ ვადას განსაზღვრავს შემსყიდველი აღნიშნული ფაქტის დადგომისას) მოახდინოს პროექტის კორექტირება, რაზედაც შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

8.3. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ განახორციელებს ტექნიკური დავალების 8.2 პუნქტში გათვალისწინებულ მოთხოვნას ან/და გათვალისწინების მიუხედავად დაკორექტირებულ პროექტში კვლავ აღმოჩნდება დეფექტ(ებ)ი და ნაკლ(ებ)ი, შემსყიდველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს მომსახურების საბოლოო მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

## 9. ანგარიშსწორება:

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება სრულყოფილი პროექტების ჩაბარებიდან და სათანადო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (რომელიც გაცემული უნდა იყოს აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ) 10 სამუშაო დღის განმავლობაში. **საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზას** მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით.

9.2. ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს შემთხვევაში ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება შემსრულებლის მიერ პირგასამტეხლოს შესაბამისი რაოდენობის თანხის გადახდის შემდეგ.

**10. დამატებითი პირობები:**

10.1. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი გადააცილებს მომსახურების მიწოდების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1 % - ის ოდენობით;

10.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია: ა) რეკვიზიტები, ბ) გამოცდილება გ) განფასება(დანართი N2)

**12. სატენდერო წინადადება:**

12.1. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს კონკრეტულ ელექტრონულ ტენდერში "ხელშეკრულება დადებულია", "დასრულებულია უარყოფითი შედეგით" და "ტენდერი შეწყვეტილია" სტატუსებიდან ერთერთის მინიჭებამდე.

12.2. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

12.3. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იქნას ტექნიკური დოკუმენტაციის ზემოაღნიშნულ პუნქტებში მითითებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია სრულად.

12.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა: „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011 წლის N9 ბრძანების მე-16 მუხლის შესაბამისად.

12.5. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს ავიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე.

**დანართი N2**

<b>N</b>	<b>პროექტის დასახელება</b>	<b>ძირითადი სამუშაოები</b>	<b>ფასი</b>
1	მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. თაქალოში გზის მოასფალტების სამუშაოები	1.1. საჭიროებისამებრ გრუნტის დამუშავება ექსკავატორით, პროფილზე მოყვანა; 1.2. საფუძვლის ქვედა ფენის მოყვანა; 1.3. ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა (1 ფენა) (სავარაუდოდ 7500 მ <sup>2</sup> ); 1.4. მისაყრელი გვერდულების მოწყობა; 1.5. საჭიროებისამებრ წყალამრიდებისა და კიუვეტების მოწყობა; 1.6. საჭიროებისამებრ მიერთებების მოწყობა;	

<b>N</b>	<b>პროექტის დასახელება</b>	<b>ძირითადი სამუშაოები</b>	<b>ფასი</b>
1	მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ხანჯიგაზლო გზის მოასფალტების სამუშაოები	1.1. საჭიროებისამებრ გრუნტის დამუშავება ექსკავატორით, პროფილზე მოყვანა; 1.2. საფუძვლის ქვედა ფენის მოყვანა; 1.3. ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა (2 ფენა) (სავარაუდოდ 5500 მ <sup>2</sup> ); 1.4. მისაყრელი გვერდულების მოწყობა; 1.5. საჭიროებისამებრ წყალამრიდებისა და კიუვეტების მოწყობა; 1.6. საჭიროებისამებრ მიერთებების მოწყობა;	

<b>N</b>	<b>პროექტის დასახელება</b>	<b>ძირითადი სამუშაოები</b>	<b>ფასი</b>
1	მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჩაგანი გზის მოასფალტების სამუშაოები	1.1. საჭიროებისამებრ გრუნტის დამუშავება ექსკავატორით, პროფილზე მოყვანა; 1.2. საფუძვლის ქვედა ფენის მოყვანა; 1.3. ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა (2 ფენა) (სავარაუდოდ 13000 მ <sup>2</sup> ); 1.4. მისაყრელი გვერდულების მოწყობა; 1.5. საჭიროებისამებრ წყალამრიდებისა და კიუვეტების მოწყობა; 1.6. საჭიროებისამებრ მიერთებების მოწყობა;	

**შენიშვნა:**

პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შერჩევა-შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინებს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამის დღგ-ს ოდენობას, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.



**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ პროექტი**

ხელშეკრულების №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ ———“ ————— 201 — წ.

ერთის მხრივ **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ————— სახით და მეორეს მხრივ ————— (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის —————სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, **ელექტრონული ტენდერის** ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგ ზე.

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- 1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული
- 1.6. „ტექნიკური დავალება“– სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

**2. ხელშეკრულების საგანი**

- 2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანჯიგაზლოში, სოფელ კაჩაგანში და სოფელ თაქალოში გზის მოასფალტების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა**. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.
- 2.2. დაფინანსების წყარო - 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

- 3.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს —————
- 3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.



3.3. მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: \_\_\_\_\_

**4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

- 4.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს ხელშეკრულების გაფორმებიდან \_\_ დღის განმავლობაში. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
- 4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.
- 4.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
- 4.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
- 4.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

**5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

- 5.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.
- 5.2. შემსყიდველის მხრიდან “მიღება-ჩაბარების” აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

**6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

- 6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და მასში შემაჯავლი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის განსაზღვრული პირი.
- 6.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
- 6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია**

- 7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

**8. ანგარიშსწორება**

- 8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
- 8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება სრულყოფილი პროექტების ჩაბარებიდან და სათანადო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (რომელიც გაცემული უნდა იყოს აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ) 10 სამუშაო დღის განმავლობაში. **საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზას** მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით.
- 8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

**9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

- 9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
- 9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**10. უფლებების გადაცემა**

10.1. მიწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მოლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 11. სუბ-კონტრაქტორები

11.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,1%** ოდენობით.

13.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

14.2. მხარე ვალდებულია 14.1. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 15. დაგების გადაწყვეტის წესი

- 15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოავგარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
- 15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**16. სხვა პირობები**

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_ წ-მდე.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე — ეგზემპლარად და — აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

**17. მხარეთა რეკვიზიტები**

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_/ /

(ბ.ა.)

(ბ.ა.)

## დანართი N1

პრეტენდენტის დასახელება და ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:	
ხელმძღვანელის სახელი გვარი:	
საკონტაქტო ტელეფონის:	
ელ. მისამართი:	
იურიდიული მისამართი:	
ფაქტიური მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
მომსახურე ბანკი:	
ბანკის კოდი:	
ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:	